№2 2014

მასწავლებელი

სწავლა და სწავლება კლას-კომპლექტში

რა იწვევს პედაგოგის აგრესიას

პრეზენტაციის უნარების განვითარება

საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული ცენტრი

ISSN 1987-6149

ძვირფასო მასწავლებლებო!

ჟურნალი „მასწავლებელი“
და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“
წარმოგიდგენთ

„მასწავლებლის წიგნს“.

რედაქტორისგან

ვიფიქრე და გადავწყვიტე, რომ ეს ამბავი ყოფილიყო ამ ნომრის რედაქტორის წერილი.

ირანელმა სკოლის მასწავლებელმა თავის გადაპარსვის შთამაგონებელი ჟესტით სოლიდარობა გამოხატა ერთი დათრგუნული მოსწავლის მიმართ, როცა შენიშნა, რომ ამ უკანასკნელს თმა გასცვენოდა. მარივანის დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა 45 წლის ალი მოჰამადიანმა შეამჩნია, რომ მისი მოსწავლე მაჰან რაჰიმი, უჩვეულოდ დაღონებული დადიოდა სკოლაში. მისმა აკადემიურმა მოსწრებაც ნელ-ნელა იკლო; ის თავს თანაკლასელებისგან იზოლირებულად გრძნობდა. არავინ იცოდა რა დაემართა მაჰანს. ერთადერთი, რაც ყველას თვალში მოხვდა, ეს მისი უთმო თავი იყო.

მოსწავლის მდგომარეობით შეშფოთებული მოჰამადიანი მისი დახმარების სურვილით აენთო, თუმცა არ იცოდა როგორ უნდა გაეკეთებინა ეს. მას თავში იდეა მოუვიდა, რომ თავადაც გადაეპარსა თავი. „ჩვენ (ირანელები) ძალიან განვიცდით უთმობას“, – წერდა ის ფეისბუქის საკუთარ გვერდზე, რომელზეც მან ასევე ფოტოები გამოაქვეყნა, სადაც ამ მოსწავლესთან ერთად მოკაშკაშე და ლაპლაპა თავით იყო გადაღებული.

მეორე დღეს, როდესაც მასწავლებელმა საკუთარი ფეისბუქ-პროფილი მოინახულა, ის შოკირებული იყო, რადგან მის სტატუსს მთელი ირანის მასშტაბით უამრავი მოწონება და გაზიარება ჰქონდა. ირანის მედია დაინტერესდა ამ შემთხვევით. მოჰამადიანის სკოლაში გადამღები ჯგუფები გააგზავნეს. შედეგად პოპულარულმა ირანულმა ელექტრონულმა გამოცემამ – Paysh-ის „კვირის გმირად“ გამოაცხადა. ალი მოჰამადიანი თეირანშიც მიიწვიეს, სადაც მან განათლებისა და პრემიერ მინისტრებისგან ოფიციალური მადლობა მიიღო. პრეზიდენტმა ჰასან როჰანიმ ის საჯაროდ შეაქო.

მასწავლებლის საქციელით შთაგონებულმა 23-მა მოსწავლემაც თავის გადაპარსვა გადაწყვიტა. მასწავლებელმა სთხოვა მოწაფეებს, რომ ასე არ მოქცეულიყვნენ ზამთრის ცივი ამინდების დამთავრებამდე მაინც, მაგრამ როდესაც ის თეირანის ოფიციალური შეხვედრების შემდეგ მშობლიურ რეგიონში დაბრუნდა, მთელი კლასი თავგადაპარსული დახვდა.

„მაჰანი და მე ყინვის მიმართ ალერგიულები ვართ“, – უთხრა მასწავლებელმა მოსწავლეებს, – „ამიტომაც გაგვცვივდა თმა“. მან დაარწმუნა ისინი, რომ გაზაფხულზე თმა ისევ გაეზრდებოდათ. დეპრესიული თვეების შემდეგ მაჰანს პირზე ღიმილი დაუბრუნდა, როცა მასწავლებლის გადაპარსული თავი დაინახა.

მაჰანისთვის მოულოდნელი იყო ამ საქციელით გამოწვეული რეზონანსი. მან იგრძნო კლასელების თანადგომა, დაუბრუნდა ხალისი. გარდა ამისა, ექიმებმა მისი იდუმალი სნეულების კვლევაც დაიწყეს. თეირანელმა ექიმებმა მის სნეულებად იმუნური სისტემის შეფერხებული მუშაობა დაასახელეს. შემდგომი კვლევისთვის ანალიზები გერმანიაშიც კი გაიგზავნა. ირანის მთავრობამ განაცხადა, რომ ის დაფარავდა ყველა სამედიცინო ხარჯს.

ირანელმა მასწავლებელმა, რომელმაც თავი გადაიპარსა და ამით ერთი მოსწავლე გადაარჩინა, ღირებული გაკვეთილი ჩაუტარა თავის კლასს და არა მხოლოდ მათ. ეს იყო გაკვეთილი იმის შესახებ, თუ რა შეუძლია ემპათიას.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

მასწავლებელი

N2(32), 2014

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 ბ-374

მთავარი რედაქტორი: ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **რედკოლეგია:** გია მამულაშვილი, ირინა აბულაძე, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: ვიოლეტა კვირიკაშვილი, მარინე ჯაფარიძე, ქეთევან ოსიაშვილი, მაია ჯალიაშვილი, ირინე სამსონია, ნინო რევიშვილი, მანანა ბოჭორიშვილი, მაია ფირჩხაძე, გიორგი ნოზაძე, ნინო ყიფიანი, თეო ჭყოიძე, თეო ნეფარიძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge



ექსპერტი

ნინო რევიშვილი

4 სწავლა და სწავლება კლას-კომპლექტში

კლას-კომპლექტში, სულ მცირე, ორი სხვადასხვა კლასის სხვადასხვა სასწავლო შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები ერთ საკლასო ოთახში სწავლობენ და ინტელექტუალურ, აკადემიურ და სოციალურ უნარებს ავლენენ. ასეთი სასწავლო გარემოს შექმნის ერთ-ერთ მთავარ პირობას, როგორც წესი, რესურსების სიმწირე და გეოგრაფიული აუცილებლობა ქმნის.

მანანა ბოჭორიშვილი

46 დიფერენციაციის თეორიის რამდენიმე ასპექტი

დიფერენციაციის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისას მასწავლებელი ხელმძღვანელობს კლასის ფასილიტაციის ზოგადი პრინციპებით, რომლებიც ეფექტურია თითოეულ მოსწავლესთან მიმართებით.

მოსაზრება

გიორგი ნოზაძე

9 მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, მხარდაჭერა და შეფასება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გაცნობიერებული აქვს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელობა. ეს პრინციპი ასახულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში.

23 მაია ჯალიაშვილი

ყოველ ადამიანში მზეა

მეტაფორულად თუ ვიტყვით, მასწავლებელი ყველაზე კარგად გრძნობს მოსწავლეებში ამ მზეების არსებობას, ამიტომაც ცდილობს, ხელი შეუწყოს მათ კაშკაშს. პირდაპირი მნიშვნელობით კი, ეს გულისხმობს იმას, რომ მასწავლებელმა უნდა შეძლოს ყოველი მოსწავლისთვის ინდივიდუალური „პირობის“ შექმნა, მიხვდეს, სწავლების რომელი სტილი შეესაბამება მის ბუნებას, მონაცემებს და ისე დაგეგმოს გაკვეთილი.

რესურსი

ვიოლეტა კვირიკაშვილი

43 წერითი მეტყველების განვითარების გზები დაწყებით კლასებში

აღწერილი სამუშაოები მოიცავს წინასაანბანო და საანბანო პერიოდს, როდესაც მზადდება ნიადაგი წერით მეტყველებაზე გადასასვლელად. წარმართული საქმიანობა, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, მეორე მხრივ კი უნერგავს სათქმელის უფრო სრულად, მკაფიოდ და გამომსახველად გადმოცემის ჩვევას; აგრეთვე აჩვევს, კრიტიკულად შეაფასონ ნათქვამი და დღითი დღე დახვეწონ საკუთარი მეტყველება.

ქეთევან ოსიაშვილი

50 თვითშეფასება და მისი როლი ბავშვის პიროვნების ფორმირების პროცესში

თვითშეფასება არის ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნების შეფასების უნარი, მისი დამოკიდებულება საკუთარი შესაძლებლობებისადმი, პიროვნული თვისებებისადმი, გარეგნობისადმი. ნებისმიერ ჩვენგანს გარკვეული თვითშეფასება აქვს და ჩვენი ქცევა ძირითადად ჩვენივე თვითშეფასებით არის ნაკარნახევი. თვითშეფასება დაახლოებით იგივეა პიროვნებისთვის, რაც ხერხემალი – სხეულისთვის.

შინაარსი

39

რეკომენდაცია

ირინა სამსონია

13 **რატომ ჩამორჩებიან მოსწავლეები კითხვაში და როგორ დავეხმაროთ მათ**

ვიცით, რომ ყველა კლასში არიან მოსწავლეები, რომლებიც სწავლაში საგრძნობლად ჩამორჩებიან თავიანთ თანატოლებს, უჭირთ საგნების სწავლა, აქვთ დაბალი მოტივაცია და, შესაბამისად, ვერ აღწევენ სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ საგანმანათლებლო მიზნებს. დიდი ხანია, კვლევებმა დაადასტურა, რომ ამგვარი წარუმატებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი მოსწავლეთა მიერ კითხვის უნარის არასათანადო ფლობაა.

27-30

გამოცდილება

მარინა ჯაფარიძე

54 **რა იწვევს პედაგოგის აგრესიას**

რას გულისხმობს პროფესიული საქმიანობის ცნება? ეს არის სოციალურად მნიშვნელოვანი ქმედება, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, ასევე – გარკვეულ პიროვნულ თვისებებს. მასწავლებლობა იმ ურთულეს პროფესიათაგანია, სადაც ხშირია პროფესიული დეფორმაციები.

რესურსი

მაია ფირჩხაძე

18 **კითხვა-პასუხის კომპლექსი, როგორც სწავლა-სწავლების ინდიკატორი**

ზოგადად, კითხვა-პასუხი ერთ მთლიან კომპლექსს ქმნის: შეკითხვა თავისთავად შეიცავს რაიმე ინფორმაციის თხოვნას ანდა მოთხოვნას, პასუხი კი ისეთი მოსაზრებაა, რომელშიც მოთხოვნილი ინფორმაციაა დაფიქსირებული.

ნინო ყიფიანი

31 **როგორ ვიმუშაოთ უყურადღებო, იმპულსურ და ჰიპერაქტიურ ბავშვებთან**

მასწავლებლები დიდი გამოწვევის წინაშე დგანან. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, შესაძლებელია, რომ ყოველ კლასში, სულ მცირე, ერთი ჰიპერაქტიური მოსწავლე მაინც იმყოფებოდეს. ხშირად საქმეს ისიც ართულებს, რომ ბავშვის ქცევის დარღვევის მიზეზს მშობლები მალავენ. მასწავლებლები მომზადებული უნდა დახვდნენ ჰიპერაქტიურ მოსწავლეებთან შეხვედრას.

თეო ჭყოიძე

35 **როგორ განვიხილოთ გარემოსდაცვითი საკითხები**

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის მეორე პუნქტში, რომლის სახელწოდებაც არის „ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა“, აღნიშნულია, რომ „მოზარდმა უნდა იცოდეს, რა ბუნებრივ გარემოში ცხოვრობს, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ადამიანის ამა თუ იმ მოქმედებამ, როგორ შეინარჩუნოს და დაიცვას ბუნებრივი გარემო“.

თეო ნეფარიძე

39 **პრეზენტაციის უნარების განვითარება**

მასწავლებლის მაღალი საგნობრივი კომპეტენცია ავტომატურად არ გულისხმობს პრეზენტაციის უნარის სრულყოფილად ფლობას. ამდენად, მასწავლებელი შესაძლოა საგნის სიღრმისეული ცოდნით გამოირჩეოდეს, მაგრამ ცოდნის გადაცემის უნარი სათანადოდ განვითარებული არ ჰქონდეს. ყურადსაღებია, რომ არაეფექტური პრეზენტაცია შეიძლება გახდეს სწავლისთვის დამაბრკოლებელი ფაქტორი.